წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 3 შაური. | ტელეფონი № 76. | ხუთშაბათი დეკემბრის 29 (11) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 5 მან.
ორსი თვით . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . [illegible]
განცხადებების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე [illegible]
ქალაქ გარედან [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა. თითოეულ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევს 1 საათ. 8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 208 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 208

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდა შვიდს ამა დეკემბერს, გორის მაზრის სოფ. დგვრისში პარდაიცვალა

ეკატერინე სვიმონის ასული ცინცაძისა,

რასაც აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებსა და მეგობართ შვილი გარდაცვალებულისა ია ეკალაძე ცინცაძე და რძალი ბარბარე შვილებითურთ.

---

ღრმათ დამწუხრებულნი ნიკოლოზ პეტრეს ძე ჯაიანი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობართ გარდაცვალებას პირველის უძვირფასესი დედისას

სოფიო კონსტანტინეს ასულის ჯაიანისას.

დაკრძალვა მიცვალებულისა დანიშნულია 29 ამა დეკემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, მწვანე ყვავილის ეკლესიის გალავანში. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან ლევაშოვის ქუჩაზე.

---

შაბათს, 30 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი კაპიტან

ევგენ (ტიტიკო) აპოლონის ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხრებული მშობლები აპოლონ და ფუცუ მიქელაძეები, დები: ელენა, პოლინა და ნინა, ძმები: პორფირი არდალიონი, კაკო, [illegible] და ქორჟიკო. წირვა დაიწყება ათ საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ.

---

ქ. ლანჩხუთში 26 დეკემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

იაგორ ლაზარეს ძე გვარჯალაძე

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მართა ოთარის ასული, ძმა ბეჟუ ლაზარეს ძე, შვილები: ლადიმე, მოსე და კოსტანტინე იაგორის ძენი, რძლები: ვასასი გრიგოლის ასული, ვარვარა (ბაბულია) ნიკიფორეს ასული და ელისაბედ ესეს ასული, შვილის შვილები: ქენია (ევგენია), ილიკო, ივანე, მიხეილ, ლევან და ალექსანდრე ლადიმერის ძენი, მარუსია, ლენა და ვალოდია მოსეს ძენი გვარჯალაძეები. პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე. დაკრძალვა იქნება 30 დეკემბერს, დილით შაბათს 2 საათზე, ქ. ლანჩხუთში ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანშიდ.

---

## განცხადება.

ქალაქ ქუთაისის სასურსათო გამგეობა ამით აცხადებს, რომ 20 დეკემბრიდან

ხორბალი

არავის აღარ მიეცემა.

ქალაქის სასურსათო გამგეობა

---

## მოქალაქეთა საყურადღებოთ.

ქალაქის სასურსათო გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს მოქალაქეთ დროზე მიიღონ პურისა და შაქრის ბარათები. ვისაც ბარათები დროზე არ ექნება მიღებული, არავითარ შემთხვევაში პური და შაქარი არ მიეცემათ.

ქალაქის სასურსათო. გამგეობა.

## ქართველო მაჰმადიანებო!

რუსეთის დიდმა რევოლუციამ გამოაცხადა ერთა თვითგამორკვევის სრული თავისუფლება და ქართველი ერი უკვე შეუდგა საკუთარი ცხოვრების მოწესრიგებას, მთელი ქართველი ერის გაერთიანებას განურჩევლათ სარწმუნოებისა.

უძველესი დროიდან თქვენ ხართ ნაწილი ქართველი ერისა, ღვიძლი ძმები ქართველებისა; ქართველ ერთან გაკავშირებს თქვენ საერთო დედაენა, საერთო სამშობლო და საერთო ისტორია. თქვენ მთელ ქართველებთან უძველესი დროიდან ერთი გქონდათ ჭირი და ლხინი, მწუხარება და მხიარულება, სიმღერა და კვნესა, ცრემლი სიცილი.

სამაჰმადიანო საქართველო ნაწილია მთელი საქართველოსი. პირველათ თქვენში დაირწო აკვანი მთელი ქართველი ერის სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, ძლიერებისა, აყვავებისა, განათლებისა და საერთო კულტურისა,

თქვენი გმირი წინაპრები დარაჯათ უდგნენ მთელ საქართველოს და ასწავლიდენ ქართველ ერს, თუ როგორ უნდობა სიცოცხლე და სიკვდილი მთელი ერის კეთილდღეობისათვის.

თქვენსა და ქართველ ერს შორის სულიერი კავშირი არასოდეს არ შეწყვეტილა, მაგრამ დადგა დრო, როდესაც სიმტკიცე და სიცოცხლე ამ კავშირისა აუცილებელია ორივე ძმისა — მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების მომავლისათვის.

ამას კარგად გრძნობდა ქართველი ერის პირველი ეროვნული ყრილობა, რომელშიაც ქართველ ქრისტიანებთან ერთად იყვნენ ქართველ მაჰმადიანების წარმომადგენლებიც საქართველოს ეროვნულ საბჭოში, ამ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და მის სექციებში. ამ ყრილობამ მოიწვია ქართველი მაჰმადიანები და ესენი თავის ძმა ქართველ ქრისტიანებთან ერთად სათავეში ჩაუდგნენ მთელი ქართველი ერის საქმეებს.

ამიერიდან ქართველი მაჰმადიანები და და ქართველი ქრისტიანები, როგორც ღვიძლი ძმები და შვილნი ერთი ერისა, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა ეწეოდენ საერთო მუშაობას საერთო სამშობლოს ნიადაგზე მშობელი ერის [illegible] და საბედნიეროთ.

**ქართველო მაჰმადიანებო!** დადგა დრო საქართველოს გაერთიანებისა და მასთან ერთად სამაჰმადიანო საქართველოს თავისუფლებისა და აღდგენისა საქართველოს საზღვრებში სამაჰმადიანო საქართველოს უნდა ჰქონდეს საკუთარი თვითმართველობა, რომლის გული. რომლის დედა ქალაქი იქნება ბათუმი. ქართველ ქრისტიანებს უნდათ ერთობა და ძმური კავშირი ქართველ მაჰმადიანებთან, დაცვა და ხელშეუხებლობა მათი ერისა, ადათებისა, სარწმუნოებისა და ამ მიზნით საქართველოს ეროვნული საბჭო და მის აღმასრულებელი კომიტეტი ყოველგვარ ღონეს იხმარს, რომ ბათომში აფრიალდეს დროშა სამაჰმადიანო საქართველოს თვითმართველობისა

**ქართველო მაჰმადიანებო!** რას ნიშნავს სამაჰმადიანო საქართველოს თვითმართველობა? იმას, რომ თქვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი, თქვენი შინაური საქმეების წინამძღოლნი თქვენვე უნდა იყოთ, სხვა არავინ. სკოლა, სასამართლო, მილიცია, ქვეყნის მართვა-გამგეობა თქვენივე ხელთ უნდა იყოს. სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი სრული საკუთრებაა მაჰმადიან ქართველებისა, მოხმარება და განაწილება ამ მიწებისა შეადგენს უფლებას მხოლოდ სამაჰმადიანო საქართველოს თვითმმართველობისას.

ასეთი თვითმმართველობისათვის საჭიროა ცოდნა, საჭირო სწავლა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აქაც მზათ არის, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ქართველ მაჰმადიანებს. მომავალი წლიდანვე ის გახსნის ბათომში სამასწავლებლო სემინარიას (დარულ მუელლიმინ), რომელმაც უნდა მოამზადოს ქართველი მაჰმადიანი მასწავლებლები. ამ სემინარიის კედლებში გამოზრდილი ქართველი მაჰმადიანები მოეფინებიან სამაჰმადიანო საქართველოს და მისცემენ თქვენს შვილებსა და შვილის შვილებს საჭირო სწავლასა და ცოდნას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხსნის სამაჰმადიანო საქართველოში პირველდაწყებითი სასწავლებლებს, სადაც სარწმუნოების მასწავლებელი ცალკე იქნება, თურქულისა ცალკე და ქართულისა ცალკე, სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებლებს, სამკითხველოებსა და წიგნთსაცავებს, კოოპერატიულ კავშირებს და წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს, მოაწყობს ყველგან საექიმო დახმარებას, ლექციებს მუდმივანი სწრაფებით, საპარასკევო სკოლებს მოზრდილთათვის, აარსებს სტიპენდიებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებში ქართველ მაჰმადიანთა შვილებისათვის და სხვა.

ასეთია მიზანი და სურვილი მთელი ქართველი ერისა, მისი ეროვნული საბჭოსი. ამ მიზანს მტკიცეთ შეასრულებს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**ქართველო მაჰმადიანებო!** საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოაქვს თქვენთვის თვითმართველობა და განათლება მიეცით მას ხელი და დაეხმარეთ სამაჰმადიანო საქართველოს და მასთან მთელი ქართველი ერის აღდგენა და აყვავებაში.

ქართველ ერს გულწრფელად უნდა მტკიცე კავშირი კავკასიის ყველა მაჰმადიანები უნდა იყოთ შემაერთებელი ხიდი ქართველ ერსა და მაჰმადის მორწმუნე კავკასიის სხვა ერების შორის. ამ დიდ საქმესა თქვენ შეასრულებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ აღიჭურვებით სწავლით და იქნებით მტკიცე შემკვრელი თქვენ [illegible] და ეროვნულ შენობაში. ამისთვის [illegible] საჭიროა, რომ სამაჰმადიანო საქართველო წარმოადგენდეს გაერთიანებულ საქართველოს საზღვრებში თვითმართველ ერთეულს.

გაუმარჯოს სამაჰმადიანო საქართველოს!

გაუმარჯოს გაერთიანებულ თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

## ჩვენი მდგომარეობა.

დღეს ყველა სხვა საკითხსა და საძიებელზე უფრო მნიშვნელოვანი ჩვენთვის — ჩვენის ფიზიკური არსობის, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

ვერავინ იტყვის, საიდან რა განსაცდელი მოგვევლინება, რომელს პოლიტიკურ ორიენტაციაში მოვექცევით და რომელი ისტორიული მიმდინარეობა ჩაგვითრევს და გაგვიტაცებს.

ახლობელი მომავალი წყვდიადით მოცულია და სწორის გზის არჩევა — მეტად ძნელია.

მხოლოდ ერთი რამეა უეჭველი: ამ საერთაშორისო ბრძოლიდან მხოლოდ ის გამოვა გამარჯვებული, ვინც უკეთ მოწყობილი და შეიარაღებულია.

სუსტს არავინ არ გაუწევს ანგარიშსა და არც არავინ დაზოგავს. შებრალებასა და ჩვენთვის თავდადებას არავისგან არ უნდა მოველოდეთ.

იმავე დროს, რაღა დასამალავია, არ მეგულება არც ერთი ერი, ამ დროისთვის ჩვენზე ნაკლებად მომზადებული და მომარჯვებული.

შეხედეთ უკრაინას, როგორი სისწრაფით შექმნა ეროვნული ლაშქარი! კაზაკების სამხედრო ორგანიზაცია სამაგალითოა. მთიელთა კავშირი თავითფეხამდე შეიარაღებულია. ადერბეიჯანმა, სომხეთმა, — ყველამ იარაღი აისხა. მარტო საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს.

ჩვენი ჯარისკაცები თავთავის სახლებში მიეშურებიან მის მაგიერად, რომ ქართველ რაზმებში ეწერებოდენ. მართალია, დიდი ხნის ლაშქრობით მოიქანცენ, მაგრამ, როცა სამშობლოს განსაცდელი კარს ადგია, რა დროს შინ წასვლაა?!

ჩვენ უნდა შევქმნათ თავდაცვის რაზმები! უნდა ავამოძრაოთ მთელი ერი! ერთმანეთს იმას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ, არა, შენ წადი და მე შინ დავრჩებიო, არამედ ნამუსისათვის თავდებაში უნდა ვეცილებოდეთ და სამშობლოსთვის სიკვდილი სახელად უნდა მიგვაჩნდეს.

უკან კი არ უნდა ბრუნდებოდეს ფეხები, არამედ აღფრთოვანებით უნდა მივდიოდეთ წინ!

ქართველი ჯარისკაცების გმირობამ ქვეყანა გააკვირა. და ჩვენი საკუთარი თავისა და სახლკარის დაცვაში განა მეტი თავგანწირვა არ გვმართებს?!

დიაღ! უპირველესად — ქართველი ჯარი უნდა შევადგინოთ. იმავე დროს აუცილებელია მოისპოს ჯარში ანარქია, მოუწესრიგებლობა, უდისციპლინობა, ბოლშევიზმი. ჯარში თუ მხედარმა უფროსს არა გაუგონა რა, ყოველი შრომა ფუჭი იქნება. ჯარი, სამხედრო ორგანიზაცია, რესპუბლიკური იქნება თუ არა, თუ დისციპლინა დარღვეულია, მხოლოდ ბრბოა, რომელიც ვერაოდეს ვერ გაიმარჯვებს. ამიტომ ქართველ ჯარში სასტიკი დისციპლინა უნდა დაწესდეს! ამას სამშობლოს ინტერესი მოითხოვს.

მაშ ჯარისკაცები მოვალე არიან დასთმონ დროებით, ვიდრე ჯარში არიან, პირადი პატივმოყვარეობა და დაემორჩილონ დისციპლინას, ე. ი. სამხედრო კანონს [illegible]. საჭიროა [illegible] ჯარში, რაც შეიძლება, მეტი ინტელიგენტური ძალა, რომ შეგნებულთა რაოდენობამ მოიმატოს.

---

ეროვნული ჯარი — საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ფუძეა. მაგრამ სამხედრო ძალის გარდა სხვა რამეც არის კიდევ აუცილებელი. და ერთ-ერთი საშუალება, რომელიც შეიქმს ერს ერად, უკეთ ვთქვათ, პოლიტიკურ ერთეულად, საერთაშორისო უფლების მოპოება არის.

ქართველი ერი დამოუკიდებლად უნდა ელაპარაკებოდეს მეზობლებსა და არამეზობლებს, მოყვრებსა და მტრებს. მაშ ჩვენც უკრაინის მაგალითს უნდა მივბაძოთ და დიპლომატიური მოლაპარაკების დამოუკიდებლობა უნდა მოვიპოოთ.

თუ გავბედავთ ამ გზაზე ნაბიჯის გადადგმას, მიზანს უეჭველად მივაღწევთ. უამისოდ კი საერთაშორისო უფლების გარეთ დავრჩებით და, მაშასადამე, კვლავ სხვის ბატონობას ვერ ავცდებით.

---

ღირსშესანიშნავია ეროვნული საბჭოს მიმართვა სამაჰმადიანო საქართველოსადმი. სამაჰმადიანო საქართველო საქართველოში ავტონომიური იქნება; იგი თავისთვის თვითონ მოაწესრიგებს მიწის საკითხს, თვითონ აირჩევს თავის მმართველებს, თვითონ მოაწყობს საკუთარს, ადგილობრივ საერობო საქმეებსა და სხ. და მათი სარწმუნოება, ზნე-ჩვეულება და ადათი — უზრუნველ-ყოფილი იქმნება.

ქართველმა მაჰმადიანებმა კარგად იციან რომ სისხლითა და ჩამომავლობით ჩვენი ღვიძლი ძმები არიან და პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩვენთან არიან და იქნებიან. და ეროვნული თავდაცვა და ეროვნული ეკონომიური პოლიტიკა ჩვენ ერთად უნდა ვაწარმოოთ იმავე დროს თვითეული ქართველი მაჰმადიანი სრულ-უფლებიანი მოქალაქე უნდა იყოს საქართველოს ყოველ მხარეში, როგორც თვითეული ქრისტიანი ქართველი სამაჰმადიანო საქართველოში. დეე! გვქონდეს სხვადასხვა სარწმუნოება: ეს ჩვენს ძმობასა და ერთობას ვერ დაარღვევს.

დიაღ! ქართველმა მაჰმადიანებმა უნდა იცოდენ, რომ განსაცდელის დროს დანარჩენი ქართველობა ყოველთვის მათთან

იქნება. და გვწამს, რომ საქართველოს ორი ნაწილი, ისტორიის უკუღმართობით ერთმანეთს დაშორებული, ამ საბედისწერო ჟამს ერთად იქნება, საერთო ჭირს ერთად შეებრძოლება და მტერსა და მოყვარეს ერთად გაუსწორდება.

—

საბედისწერო იქნება ჩვენთვის მიწისმფლობელობის სოციალისტური რეფორმა. სოციალისტურ პრესაში ის აზრი ტრიალობს, რომ ყველა მესაკუთრეს უნდა ჩამოერთვას ის მიწები, რომელნიც მას იჯარით გაცემული აქვს. მაშასადამე, საშუალო მიწის მუშებსაც ჩამოერთმევათ მიწების ერთი ნაწილი. ვფიქრობ კი, რომ ეს—საშინელ სამოქალაქო ბრძოლას გამოიწვევს. ბევრ მიწის-მუშას სყიდვით შეუძენია მიწები. ბევრს—იჯარით აქვს გაცემული, მაგრამ მხოლოდ მიტომ, რომ მუშა-ხელი აკლია; ზოგიერთი მიწის-მუშა მთელ თავის შრომას პატარა მამულის ინტენსიურად დამუშავებას ახმარს და იმის შიშით იჯარით გაცემული მიწები არ ჩამომართვანო, ინტენსივურ მეურნეობას თავს დაანებებს და ყველა მიწას ექსტენსივურად დაიმუშავებს. იმავე დროს რას უნდა ვუწოდოთ იჯარა? მაგალითად, თუ ვინმე დაქირავებული მუშების ხელით აწარმოებს მიწების დამუშავებას, ეს-იჯარა იქნება თუ არა? ჩამოართმევენ თუ არა ამ გვარ მიწებს? ერთი სიტყვით, ამგვარი რეფორმა დიდ არევ-დარევას გამოიწვევს.

რაც შეეხება ტყეების ჩამორთმევას, არიან ასეთი მემამულეები, რომელთაც ტყეების მეტი არა გააჩნიათ-რა. მაშ როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში ტყეების უსასყიდლოდ ჩამორთმევა?!

განვიხილოთ აგრეთვე ზოგიერთი ზიარი ადგილები, მაგალითად, „ქალისმთა“. ეს მთა აუარებელ მესაკუთრეს ეკუთნის, მესაკუთრეთა შორის კი უმეტესობა—წვრილი მიწის-მუშაა. რასაკვირველია, შეუძლებელია, მთელი მთა სახელმწიფო საკუთრებად შეირიცხოს პირიქით, წინასწარ უნდა გაიმიჯნოს და ვისაც ბევრი შეხვდება, მხოლოდ იმას უნდა ჩამოერთვას ნორმაზე მეტი. უსასყიდლოდ? ჩვენი ფიქრით, სამართლიანი სასყიდლით, რომ, ჯერ ერთი, კერძო საკუთრების პრინციპი არ იქნეს შელახული, და მეორე—ამწუთ მდგომარეობაში არ ჩავარდეს აუარებელი მესაკუთრე, რომელთაც თავისი ცხოვრება იმის-დაგვარად მოუწყვიათ, რამდენი საკუთრებაცა ჰქონიათ.

შემდეგ: მამულების ჩამორთმევა ადვილია, მაგრამ მოვლა და პატრონობა ძნელია. რასა იქმს საქართველოს ავტონომია? იჯარით გასცემს ჩამორთმეულ მიწებს? მაგრამ ეს ხომ არა თუ არ გააუმჯობესებს, არამედ ძირს დასცემს ინტენსივურ მეურნეობას?!

გვეუბნებიან, იჯარა ხაზინაში შევა და საერთოს, ეროვნულ საქმეებს მოხმარდება. კი, მაგრამ ამისთვის ხომ სრულიად საკმაო ეგრეთწოდებული პროგრესიული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე.

მაშ ჩვენი აზრი ეს არის: ნუ შევარყევთ კერძო საკუთრების საფუძველს. რომელიც არის მიზეზი ინტენსივური მეურნეობის განვითარებისა, საერთო საჭიროებათათვის კი პროგრესიული გადასახადები დავაწესოთ.

ამას გარდა; დღევანდელს განსაცდელიან დროს სოციალური ექსპერიმენტების წარმოება მეტად სახიფათო და საშიშარია. ჯერ მშვიდობა ჩამოვარდეს და შემდეგ ვიფიქროთ ამგვარი კანონების გამოცემისათვის.

დასასრულ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც ამიერ-კავკასიის კომისარიატსა და არც რომელსამე სხვა ორგანიზაციას არავითარი უფლება არ აქვს ძალით მიაღებინოს ხალხს თავის მიერ გამოცემული სოციალური კანონები მაგალითად, ჩვენი ხალხი თავის დღეში ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ საყიდელი მიწების ფონდი სრულიად მოისპოს. მაშასადამე, ამგვარი კანონი ვერ იკანონებს, ხალხს თუ მის შესახებ არ დაეკითხენ ე. ი. ხალხმა თუ არ მოიწონა.

**ვასილ წერეთელი.**

## სომეხთა მობილიზაცია

**და ქართველი კათოლიკენი.**

ყველამ ვიცით უკვე, რომ სომეხთა ეროვნულმა საბჭომ „მოწოდებით“ მიმართა სრულიად სომხის ერს, მის ინტელიგენციას და მშრომელ მასას, რათა დაუყოვნებლივ გადავიდნენ სომხების ეროვნულ საბჭოს განკარგულებაში. ამ მოწოდებას აქვს თავისი ღრმა მნიშვნელობა, ისეთუთოდ ცხოვრებისა და მომენტის აუცილებლობით არის გამოწვეული და მთელი ქართველობაც სიმპატიურად უყურებს ამ ფაქტს.

მაგრამ სამწუხარო იქნება, თუ რომელიმე ქართველმა სომეხთა ეროვნულ ჯარში ამოჰყო თავი. სხვა კითხვაა შეთანხმებით ქართველთა და სომეხთა ეროვნულ ჯარების მუშაობა, მაგრამ შეუწყნარებელია ეროვნებით ქართველი სომხის ჯარში შევიდეს და ნებსით თუ უნებლიეთ ქართულ ეროვნულ ჯარს ასცდეს.

ასეთ მოვლენას, როგორც გადმოგვცემენ უჩნია კიდეც თავი სინამდვილეში.

ახალ ციხის, ახალ-ქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში ბევრი ქართველი კათოლიკე სცხოვრობს, რომელთა სომხურის ტიპიკონით მონათვლა მუდამ ხდებოდა სომეხ შოვინისტების წყალობით. ის იყო მომენტი უთანხმოებისა და ქართველ-სომეხთა კითხვის გამწვავებისა. ეხლა კი ყველა იქით მივიხრებით, რათა ამიერ-კავკასიისა და მთელი კავკასიის ერებმა შეთანხმებულის მოქმედებით გავანაღდოთ რევოლუციის მიზანი და დანიშნულება. თუ ეს მომენტის აუცილებლობა არის და თუ სომეხთა ეროვნული საბჭოც თვისი ერის ინტერესების მიხედვით ამას იღებს, იგი ვალდებულია ისეთი რამ არ ჩაიდინოს, რაც უთანხმოებას დაჰბადებს ორ მეზობელ ერთა შორის.

ქართველობა სარწმუნოებრივად აჭრელებულია და როგორც მართლმადიდებელი ქართველი, ისე მაჰმადიანი, გრიგორიანი, ისრაელი და კათოლიკე ქართველი, ქართველები არიან ეროვნებით და აშკარაა, მათი ადგილი მხოლოდ ქართულ ეროვნულ ჯარში არის, მიუხედავათ იმისა, თუ რომელ სარწმუნოებას აღიარებენ იგინი. ამ შემთხვევაში არც ქართველი კათოლიკე, თუ ქართველი გრიგორიანი გამონაკლისს ვერ შეადგენენ. მართალია, სომხები აღიარებენ გრიგორიანის სარწმუნოებას, კათოლიკენიც არიან მათ შორის, მაგრამ ყველა კათოლიკე და გრიგორიანი სომეხი არ არის. იქ ქართველებიც არიან და ამიტომ არა მარტო უსამართლობა იქნებოდა ყველა ამათი სომეხთა ეროვნულ ჯარებში ჩაწერა, არამედ დარღვევა იქნებოდა საყოველთაოდ აღიარებულ ერთა სოლიდარობის პრინციპისა და პირველი ნაბიჯი იქნებოდა არა სასურველ გამწვავებისა ქართველთა და სომეხთა შორის. თუ ამას სომეხთა ეროვნული საბჭო გაითვალისწინებს, ის ვალდებულია, ქართველებთან კონტაქტის გულისათვის, არ დაუშვას ქართველი ელემენტების სომხურ ჯარში შეტანა. საქართველოს ეროვნული საბჭოც მოვალეა ამას დიდი ყურადღება მიაქციოს და ამის შესახებ მოლაპარაკება გამართოს სომეხთა ეროვნულ საბჭოსთან.

**ი. ხ.**

## დამფუძნებელ კრების გარშემო

**დამფუძნებელ კრების გახსნის მოლოდინში**

დამფუძნებელ კრების საქმეთა კომისარმა ურიცკიმ წინადადებით მიჰმართა სახალხო კომისართა საბჭოს—დამფუძნებელი კრება გახსნას იანვრის რიცხვებში. სახალხო კომისართა საბჭო ამ დღეებში გამოაცხადებს დამფუძნებელ კრების გახსნის ვადას. დამფუძნებელ კრების წევრთა ხელშეუხებლობა უზრუნველ ყოფილი იქნება კრების გახსნიდანვე. დაპატიმრებულ წევრებს განთავისუფლებენ იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელი კრება არ შეებრძოლება სახალხო კომისართა საბჭოს.

**კერენსკის მოხსენება**

კერენსკის უკვე დაუმზადებია მოხსენება თავის მოღვაწეობის შესახებ დამფუძნებელ კრებისთვის წარსადგენად.

## ეროვნული კითხვა.

**ესტლიანდის დამოუკიდებლობა.**

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა დამფუძნებელ კრების არჩევნები 1918 წ. იანვრის 21 და 22 სათვის ხოლო მისი მოწვევა დანიშნულია თებერვლის 15-სათვის.

## უკრაინის ჯარის დისციპლინა.

უკრაინის სახალხო ლაშქრის დროებით სტატუტში სხვათა შორის გვხვდება შემდეგი პუნქტები:

15. ყოველივე ლაშქრის ძალა მდგომარეობს მის ორგანიზაცია-დისციპლინაში. ამისათვის კი ყოველი უკრაინელი უნდა იყოს პატიოსანი და თავის სამსახურის ერთგული.

16. უკრაინელის სამსახურს მთავრობა კი არ ავალებს, არამედ მისი სამშობლო, ამისათვის სამსახურის ღალატი—სამშობლოს ღალატია.

17. ყოველ უკრაინელმა უნდა აასრულოს თავისი მოვალეობა თანამდებობის ფარგლებში, მაგალითად: პოლკოვნიკი არ უნდა ტელეფონისტობდეს და უბრალო ჯარისკაცი კი ჯარს არ უნდა უფროსობდეს.

18. თვითეული უკრაინელი უნდა ასრულებდეს თავის უფროსის ბრძანებებს რა თქმა უნდა ისეთ ბრძანებათა გარდა, რომლებიც რესპუბლიკის კანონებს ეწინააღმდეგება და მისი ღირსება შეუძლია.

19. ბრძანების შედეგებზე პასუხს აგებს მის გამცემი უფროსი.

20. თვითეულ უკრაინელმა ჯარისკაცმა ბრძანება უდრტვინველად უნდა მოისმინოს. თუ რამეში ეჭვი შეიტანა, შეუძლიან შეკითხვა. ახსნა-განმარტების შემდეგ ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შესრულებულ იქმნას.

21 თვითეული ყაზახი იძლევა პასუხს დისციპლინის მიხედვით. მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბრძანების შეუსრულებლობამ შეიძლება სამუდამოდ დაღუპოს ბევრი და საზოგადო საქმეც დააზიანოს.

22. თვითეულმა ყაზახმა უნდა მიჰმართოს უფროსს, როგორც იყო ძველად ზაპოროჟეცთა ლაშქარში. „პანე, ლაშქრისავ, „პნე პოლკოვნიკო“! და სხვა, უსაცილოდ უნდა მოიხსენიონ თანამდებობა.

23. ჯარის უფროსი კერძო ცხოვრებაში თავის თანამოსამსახურეთა ისე უნდა მოექცეს, როგორც ამხანაგს, სამხედრო სამსახურის აღსრულებისას კი ზრდილობიანად; ამასთანვე არ უნდა დაარღვიოს წესრიგი და მოითხოვოს ბრძანებათა სწორე აღსრულება.

24. უფროსი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს წესიერების დარღვევას პასუხს აძლევს კანონს, ამით ის არღვევს უკრაინის სამხედრო ძალას და მასთან მშობელ მხარის ძლიერებასაც.

25. ლაშქრის წესიერების დარღვევას კი შეადგენს: ბრძანების შეუსრულებლობა, ზარმაცობა, ლოთობა ან აზარტით ანქოს თამაში ფულზე, სამსახურში დაგვიანება და სხ. დარღვევა წესრიგისა.

26. ყველა უფროსი ვალდებულია თავის სამხედრო ნაწილებში საქმეთა მიმდინარეობაზე პასუხი აგოს. ყველა უფროსი უნდა შეეცადოს, რომ მტკიცე მეგობრული კავშირით შეჰკრას ყაზახობა.

27. სალაშქრო რადა ვალდებულია ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს უფროსებს, ესოდენ ძნელ საქმის შესრულებაში. დისციპლინის საქმეს ხელმძღვანელობს რადა.

29, თუ რადამ და თვითეულმა მისმა წევრმა ვერ გამოიყენა თავისი უფლება, მაშინ ასეთნაირ უმოქმედობისათვის კანონის წინაშე აგებენ პასუხს.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა.** რადის კომპეტენცია,, რომელიც შეეხება დისციპლინარულ გადახდევინების გარდა წყვეტილებას, განმარტებულია რადის სტატუტში.

30. ბრძოლის დროს კომანდირს სრული უფლება ეძლევა ყველას აასრულებინოს სამხედრო განკარგულება.

## ამიერ-კავკასიის კომისარიატი.

— **რუსის ჯარი სპარსეთში.** სპარსეთის გენერალურმა კონსულმა სთხოვა ამიერკავკასიის კომისარიატს რუსის ჯარი გაიყვანოს სპარსეთიდან, რადგანაც ჯარის კაცები იქაურ სოფლებს არბევენ.

— **ლონისძიება ჯარის გადასაყვანად.** სარაყამიშის სადგურის უფროსი სთხოვს ამიერ-კავკასიის კომისარიატს ორი მილიონი მანეთი გადასდოს ფრონტიდან წამოსულ ჯარის გადაყვანის დასაჩქარებლად.

— **ერობა.** საერობო არჩევნები განზრახულია 2 თვის შემდეგ. საერობო საქმეების კომისია უკვე შეუდგა საარჩევნო წესდების შემუშავებას.

— **იარაღის მიცემა მუღანლოებისთვის.** შინაგან საქმეთა კომისარმა ა. ჩხენკელმა ნება დართო მუღანლოელებს იარაღი მისცენ შახსევანებისაგან თავის დასაცავად.

— **განჯის ამბები.** ქრისტეშობისთვის 22-ს კომისარიატს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა განჯის გუბერნიის ამბების გამო. კომისარიატმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ განჯის ამბებს შემთხვევითი ხასიათი როდი აქვს, არამედ ის დიდ უბედურების უმზადებს მთელს კუთხესო. ამიტომ კომისარიატმა დაადგინა: 1) გაიგზავნოს განჯაში აკაკი ჩხენკელი და მიენიჭოს მას ამიერ კავკასიის კომისარიატის უფლებანი იქ მოქმედების დროს, 2) გაიგზავნოს განჯის გუბერნიაში ქართველი პოლკი, რომელიც გამოსცვლის იქ მყოფ იუნკერთა რაზმს და 3) გაიგზავნოს იქვე ჯავშნიანი მატარებელი. ბ-ნი აკაკი ჩხენკელი უკვე წავიდა განჯას; მასთან ერთად წავიდნენ, ჯაფაროვი, ხან-ხოისკი, ერზინკიანი, კანტემიროვი და სხ.

— **მაჰმადიანთა ლაშქარი** ამიერ-კავკასიის ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა პროექტი დებულებისა მუსულმანთა კორპუსის მოწყობის შესახებ.

## ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

საქ. **ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სენაკის მაზრის კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობა** პარასკევს, 29 დეკემბერს ქ. ახალ-სენაკში მოხდება საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობაზე გასარჩევი კითხვებია; საერობო არჩევნები სენაკის მაზრაში და სხვა.

ყრილობაზე ყოველი სოფლის თანამოაზრეთა კრებული გზავნის ერთს წარმომადგენელს. წარმომადგენელთა სამგზავრო ხარჯებს სენაკის სამაზრო კომიტეტი ღებულობს.

✦ **დეპეში თბილისიდან.** ჩვენმა რედაქციამ თბილისიდან შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო: „ფოსტა ტელეგრამის სომეხ მოსამსახურეთა საერთო ყრილობაზე ქ. თბილისში 23 დეკემბერს მოსმენილ იქმნა მოხსენება ამხ. ზარაფიანისა და ვიმსჯელეთ იმ აუტანელ მდგომარეობაზე რომელსაც იწვევს კავკასიის ფრონტიდან ჯარის თავის ნებით წასვლა. ასეთი შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა კავკასიის ფრონტზე დიდ უბედურობას უქადის საყვარელ სამშობლოს სომხეთს და კავკასიას, დამარცხებისაკენ მიჰყავს მოპოებული თავისუფლება, ჩვენ დღეიდან მრავალ ტანჯულ სომხის ხალხის დასახსნელად ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ გადავიდეთ სომხეთის ეროვნულ საბჭოს განკარგულებაში. მთელი ჩვენის გონებრივისა და ფიზიკურის ძალ-ღონით არჩეულ გზას დავიცავთ. ყრილობას ღრმად სწამს, რომ სომეხთა ეროვნული საბჭოს პირველი მოწოდებისთანავე პროვინციელი ამხანაგები ფეხზე დადგებიან, როგორც ერთი კაცი სამშობლოისა და მოპოებული თავისუფლების დასაცავად. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს, გაუმარჯოს სომხეთის რევოლუციურ არმიას, გაუმარჯოს თავისუფალ ერთა შეერთებასა ძმობას, გაუმარჯოს სომხეთის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ყრილობისა ზარაფიანი.

✦ **სამგლოვიარო დეპეში.** ჩვენმა რედაქციამ დ. ცაგერის ქალთა წრიდან მიიღო დეპეში რომელშიდაც მწუხარებას გამოსთქვამენ კიტა აბაშიძის გადაცვალების გამო.

✦ **ეროვნული ბიბლიოთეკა.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიანდო პ. საყვარელიძეს ეროვნულ ბიბლიოთეკის მოწყობის პროექტის შემუშავება.

✦ **ქართველ მაჰმადიანთა სექციის.** გამგის ამხანაგებად დამტკიცებულნი არიან ექიმი ივ. გომართელი და მამედ ბეგ აბაშიძე.

✦ **საქართველოს ეროვნული საბჭოს** მდივნად მოწვეულია [illegible].

✦ **შიმშილი ოზურგეთის მაზრაში.** ოზურგეთის სამაზრო სასურსათო კომიტეტი ატყობინებს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ გურიაში უკვე შიმშილობაა. სიმინდი გამოილია. ახალ მოსავლამდის მთელ მაზრას დასჭირდება 1 მილიონი ფუთი სიმინდი. ოზურგეთის მაზრის კომიტეტის ცნობით თუ 1 იანვრიდან მათ სიმინდი არ მიაწოდეს სასურსათო კომიტეტის წევრები თავის მოვალეობას თავს გაანებებენ.

✦ **ფასი სურსათზე.** 28 დეკემბერს ქუთაისის ბაზარზე ფუთი სიმინდის ფქვილი ფასობდა 25 მანეთად, ღომი 40 მანეთად, კვერცხი 100 ცალი 3 თუმნად და ყველი ჩარექი კი 8 მანეთად.

✦ **ფრონტის იარაღის ბედი.** გენერალ კალედინის განკარგულებით ჯარის ეშელონებს, რომელნიც კავკასიის ფრონტიდან ბრუნდებიან, ჩრდილო კავკასიაში სხზრეკენ და იარაღს აყრევინებენ. გასულ თვის განმავლობაში ნოვო-ჩერკასკის არსენალს ამ გზით 125 ათასი თოფი და დიდძალი სხვა იარაღი შეემატა.

ასეთივე დადგენილება მიუღიათ ჩეჩნებისა და დაღესტანის კომიტეტებს. მოსალოდნელია, რომ ასეთსავე გზას დაადგებიან განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

✦ **იბეჭდება და იანვრის** პირველ რიცხვებში გამოვა გასასყიდლად ს. დათეშიძის მიერ შედგენილი ,,ქართული წერის დედანი და სახატავი ნიმუშები''.

✦ **ქალაქის სასურსათო კომიტეტის** წევრთა კრება მოხდება დღეს 29 დეკემბერს საღამოს 5 საათზე.

✦ **შეშის მიღება.** გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა მიიღო 21 ვაგონი შეშა, რომელიც მცხოვრებთა შორის გაანაწილეს.

✦ **სომხის მოხალისეთა პოლკები.** სომხურ გაზეთ „მშაკს“ ატყობინებენ: ოსმალეთის სომხებისაგან შემდგარი პირველი ქვეითა პოლკი იმ თხრილებში ჩადგა, რომელნიც 23 და 26 პოლკებმა მიატოვეს. შესდგა აგრეთვე ცხენოსანთა რაზმი, რომელმაც ის საქმეები იკისრა, რომელთაც რუსის ყაზახთა ნაწილები ასრულებდენ.

✦ **პურის ფქვილი.** სასურსათო საქმეთა მთავარი რწმუნებული სთხოვს ქუთ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, მიიღოს ზომები, რომ ფოთის საქალაქო კომიტეტი ნუ მიითვისებს იმ პურის ფქვილს, რომელიც მიღებულია სხვა გუბერნიების საჭიროებისათვის.

✦ **ქურდობა** შობას 25 დეკემბერს. ღამით ჯაჭვის ხიდთან ბოროტ გამზრახველებმა გასტეხეს ი. ხეცურიანის სავაჭრო. წაიღეს პაპიროსები და 120 მ.

— ამავე ღამეს იქვე გასტეხეს ჟერძი წერეთლის სახელოსნო, საიდანაც წაიღეს 2434 მანეთის საქონელი.

იმ ღამესვე იქვე მეწულე ნუცუბიძის სახელოსნოდან მოიპარეს 2000 მ. ფეხსაცმელები.

✦ **დაპატიმრება.** 25 დეკემბერს ქუთაისში დააპატიმრეს ნ. ლომთაძე და ვ. თვალჭრელიძე, რომელსაც ბრალდებათ გ. წერეთლის ოჯახის გაქურდვა.

## მ ო წ ო დ ე ბ ა.

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა საბჭოსთან არსებული თავდაცვის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს, ყველა სახლების და სავაჭრო-სამრეწველოების მეპატრონეებს დაუყონებლივ, სასწრაფოთ გაიკეთონ საკუთარი ხარჯით ლამპები და გაანათონ თავიანთი სახლებისა და სავაჭროების წინ მდებარე ქუჩები. სადაც ელექტრონის მთავარი ხაზი გადის და ელექტრონის ენერგია იშოვება, იქ უნდა განათდეს ელექტრონის მცირე ძალიანი ლამპებით, არა ნაკლები 50 სანთლიანი ძალისა თათო ლამპა (ეკონომიური) ხოლო, სადაც ელექტრონის ენერგია არ იშოვება ანუ ელექტრონის მთავარი ხაზი გასანათებელ ალაგს ანუ ქუჩას დაშორებულია 10—15 საჟენის მანძილით, ასეთ ადგილებში ჩვეულებრივი ნავთის ფარნები დადგან და მით გაანათონ ქუჩები. კუთხის და დიდ შენობების პატრონებს ევალებათ რამოდენიმე ლამპა გაიკეთონ თავიანთ შენობაზე, ხოლო პატარა შენობების და წვრილი სავაჭროების პატრონებმა უნდა შეერთდენ რამოდენიმე ერთათ და შეერთებული ძალით გაანათონ თავიანთი მამულის წინ მდებარე ქუჩები.

ელექტრონის სადგურების პატრონებს ევალებათ ელექტრონის სინათლე იქონიონ გათენებამდე.

ელექტრონის სინათლის გაკეთების მსურველი წინ და წინვე უნდა შეუთანხმდეს ელექტრონის სადგურის პატრონს და მიიღონ იგი დადგენილ ფასებში.

ვაჭართა საბჭოსთან არსებული თავდაცვის ცენტრალური კომიტეტი.